სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია:*

*რექტორის #77-14 ბრძანებით; 08.10.2014*

*განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:*

*რექტორის #38-21 ბრძანებით; 06.04.2021*

*რექტორის #146-23 ბრძანებით; 13.09.2023*

*რექტორის #106-26 ბრძანებით; 21.07.2026*

# სტუდენტთა ქცევის კოდექსი

თბილისი

2026

# სარჩევი


1. სტუდენტთა ქცევის კოდექსის მოქმედების სფერო....3
2. სტუდენტთა ქცევის კოდექსის პრინციპები....3
3. ზოგადი დებულებები....4
4. სტუდენტთა ქცევის კოდექსის მოქმედების ფარგლები....4
5. დისციპლინური წარმოების დაწყების წესი....7
6. დისციპლინური საჩივრის დასაშვებობა....7
7. დისციპლინური საქმის განმხილველი კომისია....8
8. უნივერსიტეტის დისციპლინური საქმის განმხილველი კომისია უფლებამოსილება....9
9. სტუდენტის უფლებები....9
10. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სანქციები)....9
11. დისციპლინური წარმოების შედეგი....10
12. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შინაარსი....11
13. გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გადასინჯვის საფუძვლები....11

## 1. სტუდენტთა ქცევის კოდექსის მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე კოდექსი ადგენს ქცევის წესებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“) სტუდენტებმა.

1.2. წინამდებარე კოდექსი ასევე ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სწავლობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა მოკლევადიან გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსზე.

## 2. სტუდენტთა ქცევის კოდექსის პრინციპები

2.1. უნივერსიტეტი საკუთარი მისიიდან გამომდინარე მიზნად ისახავს სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული შიდასაუნივერსიტეტო გარემოს შექმნას, რის მისაღწევადაც უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ეთიკური სტანდარტებითა და ქვემოჩამოთვლილი პრინციპებით:

ა) თავისუფლება;

ბ) აკადემიური თავისუფლება;

გ) პასუხისმგებლობა;

დ) სამართლიანობა;

ე) მიუკერძოებლობა;

ვ) კეთილსინდისიერება;

ზ) დისკრიმინაციის აკრძალვა;

თ) ჰუმანურობა;

ი) ტოლერანტობა;

2.2. ამ მუხლის 2.1. პუნქტში მითითებული პრინციპების გარდა, დისციპლინური სამართალწარმოება ემყარება შემდეგ პრინციპებს:

ა) შეჯიბრებითობა, დისპოზიციურობა;

ბ) დისციპლინური კომისიის მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევა;

გ) კონფიდენციალურობა.

2.3. დისციპლინური წარმოების წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. აღნიშნულში არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი გამოიყენებს უფლებამოსილებას არ დაუშვას სტუდენტი შენობაში/დაატოვებინოს სტუდენტს უნივერსიტეტის შენობა, როცა ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვასა და სხვა.

2.4. დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია. დისციპლინური ორგანოს წევრები, ვალდებულნი არიან დაიცვან ყველა ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური წარმოების დროს.

## 3. ზოგადი დებულებები

3.1. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი პატივს უნდა სცემდეს სხვების ღირსებასა და თავს იკავებდეს სხვისთვის ზიანის მომტანი საქციელისგან.

3.2. სტუდენტმა პატივი უნდა სცეს და აღიაროს თითოეული სტუდენტის უფლება მიიღოს განათლება იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინებისაგან თავისუფალ გარემოში.

3.3. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა, უნივერსიტეტის დებულებითა და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებით მინიჭებული უფლებებით.

3.4. სტუდენტი უნდა იზიარებდეს უნივერსიტეტის ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავდეს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს.

## 4. სტუდენტთა ქცევის კოდექსის მოქმედების ფარგლები

4.1. წინამდებარე ქცევის კოდექსი ადგენს ქცევის ზოგად და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესებს.

4.2. სტუდენტის ქცევის ზოგადი წესების დარღვევად ჩაითვლება:

ა) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების მოწყობა ან/და ასეთ თამაშებში მონაწილეობა;

ბ) უნივერსიტეტის ქონების, მათ შორის სასწავლო ინვენტარის სათანადო უფლების გარეშე, არადანიშნულებისამებრ გამოყენება ან/და დაზიანება (მათ შორის: მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დამტვრევა/დაზიანება);

გ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობა-ნაგებობების იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

დ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიების ჩაშლა/მსვლელობისთვის ხელის შეშლა;

ე) უნივერსიტეტში მოქმედი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტის საამისოდ უფლებამოსილი პერსონალის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა;

ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შეუფერებელი ქცევა, მათ შორის უცენზურო სიტყვების წარმოთქმა;

ზ) განგაშის შესახებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის ან/და უნივერსიტეტის პერსონალისთვის (მაგ.: ხანძარი, ნაღმი, აფეთქება და სხვა).

თ) ნებართვის გარეშე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესვლა ან/და უცხო პირის შემოყვანა (უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ვალდებულია თან იქონიოს დაშვების ბარათი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა);

ი) უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწევა/თამბაქოს ნაწარმის/თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნაწარმის მოხმარება,

რომელიც განკუთვნილია მოსაწევად/დასაღეჭად ან შესასუნთქად;

კ) უნივერსიტეტში ალკოჰოლური სასმელების/ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა, გავრცელება ან/და გამოყენება, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური/ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ყოფნა;

ლ) იარაღის (ცეცხლსასროლი, ცივი), ფეთქებადსაშიში, ადვილადაალებადი ნივთიერებების უნივერსიტეტში შემოტანა/გავრცელება;

მ) უნივერსიტეტის ქონების ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ქურდობა;

ნ) უნივერსიტეტის შიდაკომპიუტერულ ქსელში, კომპიუტერულ ტექნიკაში ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე შეღწევა დაცული ინფორმაციის მოპოვების ან/და შეცვლის მიზნით. ასეთი ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება. შიდასაუნივერსიტეტო ქსელში ვირუსის გაშვებით ან სხვა უკანონო ხერხით პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა ბაზის, ვებ-გვერდის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის დაზიანება;

ო) წინასწარი გაფრთხილების ან/და შეთანხმების გარეშე კანონსაწინააღმდეგო გზით ფარული ვიდეო/ფოტო/აუდიო ჩანაწერის განხორციელება/გავრცელება;

ო) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა, ძალის გამოყენების მუქარა, შეურაცხყოფა სტუდენტებისა ან/და უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ;

პ) აკრძალულია სექსუალური შევიწროება, რაც არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან სხვაგვარი ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას;

ჟ) უნივერსიტეტის, უნივერსიტეტის პერსონალისა და უნივერსიტეტის სტუდენტის ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელება კანონის საწინააღმდეგოდ;

რ) უნივერსიტეტის კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება ან/და გავრცელება;

ს) „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ დარღვევა, რამაც ამავე წესის შესაბამისად შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

4.3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ქცევის წესების დარღვევად ჩაითვლება:

ა) აკადემიური სიყალბე;

ა.ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;

ა.ბ) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთრის წარმოჩენა;

ა.გ) პლაგიატი (პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესის შესაბამისად);

ა.დ) საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის/თეზისის ან სხვა სახის წერილობითი ნამუშევრის ყიდვა/გაყიდვა;

ა.ე) სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული ინფორმაციის, მონაცემების, დოკუმენტების, ფაქტების გაყალბება;

ა.ვ) ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა ან ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება და ინდივიდუალურად შესრულებულად წარმოჩენა;

ბ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;

გ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;

დ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

ე) საგამოცდო საკითხების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის, მოპოვება, გამოყენება ან/და გავრცელება;

ვ) გამოცდაზე/პერიოდული გამოკითხვის ჩატარებისას ქცევის წესის დარღვევა (სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად);

ზ) შეფასების მიღების მცდელობა უნივერსიტეტის პერსონალზე მუქარით, ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, თაღლითობით თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

თ) საუნივერსიტეტო დოკუმენტების/ჩანაწერების, მონაცემების გადაკეთება, შეცვლა;

ი) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ან/და სხვა სტუდენტებისათვის სწავლების პროცესში ხელის შეშლა (მათ შორის: ლექციაზე საუბარი, ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა არასალექციო მიზნებისთვის, დერეფანში აურზაური, სასწავლო მასალის დამალვა/განადგურება და სხვა);

4.4. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს, საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე კოდექსისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების (მათ შორის: „სამუშაო სივრცეში პირთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლების შესახებ“ წესის) შესაბამისად, უფლება აქვს არ დაუშვას სტუდენტი უნივერსიტეტის შენობაში ან მოსთხოვოს მას შენობის/ტერიტორიის დატოვება, თუ სტუდენტის ქმედება საფრთხეს უქმნის სასწავლო პროცესს, უნივერსიტეტის ქონებას, სხვა პირთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას ან უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. აღნიშნული ღონისძიება უსაფრთხოების დაუყოვნებელი საპრევენციო მექანიზმია და მისი გამოყენება არ საჭიროებს დისციპლინური წარმოების დაწყებას.

4.5. საგამოცდო პროცესში აკადემიური სიყალბის ფაქტის აღმოჩენის ან საგამოცდო წესების დარღვევის შემთხვევაში, საგამოცდო სექტორის დამკვირვებელს/ზედამხედველს უფლება აქვს სტუდენტი დაუყოვნებლივ მოხსნას გამოცდიდან და დაატოვებინოს საგამოცდო აუდიტორია „სასწავლო პროცესის დებულების“ შესაბამისად. აღნიშნულ ღონისძიებაზე არ ვრცელდება წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოების წესები (სტუდენტს გამოცდაში უფიქსირდება 0 ქულა დამკვირვებლის ოქმის საფუძველზე). დამკვირვებლის მიერ გამოცდიდან მოხსნა არ გამორიცხავს სტუდენტის მიმართ შემდგომში დისციპლინური წარმოების დაწყებას, თუ გადაცდომა შეიცავს

კოდექსით გათვალისწინებულ სხვა მძიმე დარღვევის ნიშნებს.

4.6. უნივერსიტეტის დერეფნებში, აუდიტორიებთან ან საერთო სივრცეებში ხმაურის, წესრიგის დარღვევის ან სხვა მსგავსი აშკარა და თვალსაჩინო გადაცდომის შემთხვევაში, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი უფლებამოსილია დისკრეციის ფარგლებში სტუდენტს დისციპლინური წარმოების დაწყების გარეშე ადგილზევე გამოუცხადოს სიტყვიერი/წერილობითი საყვედური/გაფრთხილება და მოსთხოვოს წესრიგის დაცვა. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა განიხილება ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობად და ხდება დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

4.7. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“ გათვალისწინებული სპეციფიკური დარღვევების შემთხვევაში (მაგ.: მასალის დაგვიანებით დაბრუნება, ადგილზევე ქცევის წესების დარღვევა და სხვა), სანქციის გამოყენებაზე უფლებამოსილი პირია ბიბლიოთეკარი „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული არ საჭიროებს დისციპლინური წარმოების დაწყებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკის მენეჯერი მოხსენებითი ბარათით მიმართავს დისციპლინურ კომისიას.

## 5. დისციპლინური წარმოების დაწყების წესი

5.1. ამ კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტების შესწავლა და დამრღვევის მიმართ კოდექსით განსაზღვრული სანქციების გამოყენება ხდება უნივერსიტეტში დისციპლინური წარმოების გზით.

5.2. დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს უნივერსიტეტში დასაქმებული პირის, უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლის/დაკავშირებული პირის ან/და სტუდენტის განცხადების/საჩივრის საფუძველზე, რომელიც წარედგინება იურისტს შემდგომი რეაგირების მიზნით.

5.3. დისციპლინური საქმის განმხილველი კომისია იკრიბება საჩივრის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში.

*შენიშვნა: ვადის გახანგრძლივება შესაძლოა გამოწვეული იყოს არასასწავლო პერიოდის გამო კომისიის შეკრების შეუძლებლობით ან სხვა ფორს-მაჟორული გარემოების გამო.*

5.4. განცხადება/საჩივარში მითითებული უნდა იყოს საჩივრის ავტორის სახელი, გვარი (თუკი იურიდიული პირია – სახელწოდება, წარმომადგენლის სახელი, გვარი და იურიდიული მისამართი), დისციპლინური დამრღვევის სახელი, გვარი, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, დარღვევის ჩადენის დრო, დარღვევის სახე, ფაქტობრივი გარემოებები, ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

5.5. განსაკუთრებულ შემთხვევებში განმცხადებლის მომეტებული ინტერესის გათვალისწინებით საჩივრის ავტორის ვინაობა შეიძლება იყოს კონფიდენციალური.

5.6. წარმოება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, სამართლიანი პროცედურის გზით.

## 6. დისციპლინური საჩივრის დასაშვებობა

6.1. დისციპლინური საქმის განმხილველი კომისია საჩივრის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში იკრიბება, შეისწავლის საჩივარს და გადაწყვეტს მისი დასაშვებობის საკითხს.

*შენიშვნა: ვადის გახანგრძლივება შესაძლოა გამოწვეული იყოს არასასწავლო პერიოდის გამო კომისიის შეკრების შეუძლებლობით ან სხვა ფორს-მაჟორული გარემოების გამო.*

6.2. თუკი საჩივარი არ შეიცავს დისციპლინური დარღვევის ნიშნებს, დროის გასვლის გამო (გადაცდომის სიმძიმის გათვალისწინებით) საკითხმა დაკარგა აქტუალობა, შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, შემოტანილია პირის მიმართ, რომელიც აღარ არის უნივერსიტეტის სტუდენტი, აღნიშნულ საქმეზე (იგივე სტუდენტის მიმართ, იმავე ქმედების გამო და იმავე საფუძვლით) ერთხელ უკვე იყო ან არის კომისიის წარმოებაში, ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო, დისციპლინური ორგანო გამოიტანს გადაწყვეტილებას საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ უარის თქმის საფუძვლის მითითებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება დისციპლინური წარმოება.

## 7. დისციპლინური საქმის განმხილველი კომისია

7.1. კომისია, ყოველი სასწავლო წლის პირველ სხდომაზე, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს.

7.2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) უნივერსიტეტის იურისტი;

ბ) უნივერსიტეტის იმ ფაკულტეტის დეკანი, რომლის პროგრამაზეც სწავლობს სტუდენტი და დეკანის მიერ წარდგენილი არანაკლებ 3 აკადემიური/მოწვეული პერსონალი;

გ) სტუდენტური თვითმმართველობის მიერ არჩეული არანაკლებ 3 წევრი (თუ ასეთი წევრი არ არის არჩეული, წევრებად მოწვეული იქნებიან ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები ან/და სტუდენტის შუამდგომლობის საფუძველზე კომისია დაამტკიცებს მსურველი სტუდენტის კანდიდატურას).

დ) აუცილებლობის შემთხვევაში კომისიის ინიციატივით მოწვეული უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული პერსონალი ხმის უფლებით ან მის გარეშე, რომელსაც აქვს საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო ცოდნა.

7.3. კომისიის წევრობის წინაპირობაა შესაბამის აკადემიურ/ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნა, მოწვეული პერსონალის ან სტუდენტის სტატუსი.

7.4. კონკრეტული დისციპლინური წარმოების ფარგლებში საჩივრის წარმდგენი მხარე, ასევე წარმოების ფარგლებში საკითხის გამორკვევის მიზნით გამოკითხული პირი არ შეიძლება იყოს კონკრეტული დისციპლინური წარმოების კომისიის წევრი.

7.5. კომისიამ საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით შეიძლება განიხილოს კომისიის წევრის აცილების საკითხი აღნიშნული წევრისთვის ხმის უფლების მიცემის გარეშე.

7.6. კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა 2/3 მაინც.

## 8. უნივერსიტეტის დისციპლინური საქმის განმხილველი კომისია უფლებამოსილება

უნივერსიტეტის დისციპლინური საქმის განმხილველი კომისია უფლებამოსილია:

ა) განსახილველად მიიღოს საჩივარი;

ბ) მოსთხოვოს სტუდენტს საკუთარი მოქმედების ზეპირი ან/და წერილობითი აღწერა და განმარტება;

გ) თუ საჩივრის ან შეტყობინების ავტორი უარს იტყვის საჩივარზე, დისციპლინური ორგანო უფლებამოსილია შეწყვიტოს ან გააგრძელოს დისციპლინური დევნა;

ე) შეწყვიტოს დისციპლინური წარმოება იმ შემთხვევაში თუკი არ არსებობდა წარმოების დაწყების საფუძვლები; თუკი სტუდენტს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი და თანახმაა შეწყდეს მის მიმართ დისციპლინური დევნა.

ვ) შეაჩეროს დისციპლინური წარმოება შეჩერების საფუძვლის შეტყობიდან მის აღმოფხვრამდე ვადით და აღადგინოს წარმოება საფუძვლის აღმოფხვრიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში.

ზ) დაკითხოს მხარეები და სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია, გამოიძახოს მოწმეები და განახორციელოს სხვა კანონით ნებადართული ქმედებები, რომლებიც აუცილებელია საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების დასადგენად და გადაწყვეტილების მისაღებად.

## 9. სტუდენტის უფლებები

9.1. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს (ვის მიმართაცაა დაწყებული წარმოება) უფლება აქვს:

ა) მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ დისციპლინური წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, ასევე მოიწვიოს მოწმეები;

დ) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე;

ვ) მიიღოს კომისიის მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

9.2. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს უნივერსიტეტს.

## 10. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (სანქციები)

10.1. ამ კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სანქციები:

ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ) წერილობითი საყვედური;

გ) უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე სემესტრში დანიშნული სტიპენდიის ანულირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) უნივერსიტეტის მიერ ფინანსური შეღავათის გაუქმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) უნივერსიტეტის მხრიდან ნებისმიერი დამატებითი სარგებლის მიღების შეზღუდვა, მაგალითად, ერთი სემესტრის მანძილზე გაცვლითი პროგრამით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;

ვ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

10.2. სანქციად სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ქცევის კოდექსის მძიმე დარღვევის შემთხვევაში, ხოლო თუ რა ჩაითვლება მძიმე გადაცდომად, უნდა დადგინდეს ფაქტების ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად, რა დროსაც მნიშვნელობა ენიჭება დამდგარ შედეგს; ქმედების საშიშროების ხარისხსა და ქმედებით გამოწვეულ რეალურ საფრთხეს; პირის ბრალეულობის ხარისხს. ამ დროს შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული სტუდენტის შემდგომი ქცევა.

10.3. დისციპლინური გადაცდომისთვის სანქციაშეფარდებული პირის მიერ დისციპლინურ გადაცდომის ჩადენა ან/და ორი ან ორზე მეტი დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, როგორც წესი, განიხილება მძიმე გადაცდომად.

10.4. სტუდენტის მიმართ ერთდროულად არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი ან მეტი სანქცია.

## 11. დისციპლინური წარმოების შედეგი

11.1. კომისია მოპოვებული მასალების შესწავლისა და სტუდენტის არგუმენტების მოსმენის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენისა და, შესაბამისად, სანქციის შეფარდების ან სანქციის შეფარდებაზე უარის თქმის შესახებ.

11.2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური წარმოების დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

11.3. გადაწყვეტილებას კომისია იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

11.4. სტუდენტისთვის შეფარდებული სანქცია უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული.

11.5. კომისიის სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრები სხდომაში მონაწილეობას ადასტურებენ სხდომაზე დასწრების ფურცლის შევსებით. ოქმი დგება უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესის შესაბამისად და დანართად დაერთვის კომისიის მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

11.6. დისციპლინური წარმოების მასალები, ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოებისა და გამოყენებული სანქციების შესახებ კონფიდენციალურია. აღნიშნული ინფორმაცია ინახება ცალკე საქმედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებს საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

11.7. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის აქტის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან გაცნობისთანავე. გადაწყვეტილების ამ კოდექსის შესაბამისად გასაჩივრება აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

11.8. უნივერსიტეტის ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე ვალდებულია აღასრულოს დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

11.9. სტუდენტს საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება 5 სამუშაო დღის ვადაში.

## 12. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შინაარსი

12.1. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

ა) დისციპლინური ორგანოს დასახელებას;

ბ) დისციპლინური ორგანოს შემადგენლობას (სახელების, გვარებისა და სტატუსის მითითებით);

გ) საქმის განხილვის თარიღს;

დ) დისციპლინური დამრღვევის სახელს, გვარსა და პირად ნომერს;

ე) დისციპლინური დევნის დაწყებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღს;

ვ) დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს;

ზ) დისციპლინური დარღვევის არსსა და მხარეთა პოზიციებს;

თ) გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს;

ი) დისციპლინური დარღვევისა და დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძველს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12.2. კომისიის წევრებს შორის განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული აზრის ავტორს უფლება აქვს განსხვავებული აზრი წერილობითი ფორმით წარმოადგინოს, რაც დაერთვის კომისიის გადაწყვეტილებას.

## 13. გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გადასინჯვის საფუძვლები

13.1. სტუდენტს (ვისაც შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა) უფლება აქვს ერთჯერადად გაასაჩივროს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აქტის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თუ:

ა) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება მტკიცებულებების სათანადოდ გამოკვლევის გარეშე;

ბ) დაკისრებული სანქცია იყო შეუსაბამო მის მიერ ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით.

13.2. საჩივარი იწერება პარტნიორთა კრების სახელზე და მას განიხილავს პარტნიორთა კრება.

13.3. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში.

13.4. პარტნიორთა კრება უფლებამოსილია დაეთანხმოს ან შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება.

13.5. პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

13.6. საქმის წარმოება შესაძლოა განახლდეს ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო (თუკი მას შეუძლია გავლენა იქონიოს თავდაპირველ მიღებულ გადაწყვეტილებაზე) ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც სტუდენტისთვის ცნობილი გახდა საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობის შესახებ.

13.7. გადაწყვეტილების გასაჩივრების ან წარმოების განახლებისას ინიციატორი ვალდებულია მიუთითოს თუ რომელი საფუძვლით ასაჩივრებს გადაწყვეტილებას და წარადგინოს არგუმენტირებული პოზიცია.